სარბიელი

სპორტული გაზეთი — გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან — შაბათი, 5 მარტი — 1994 № 13 (88) — ფასი 3500 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ მიქაშავიძე: იქნებ ამერიკაში მაინც გამიმართლოს

კარლ მელოუნი: მთავარი ჯაზმენი

ლილეჰამერის ისტორიულ ზამთრის ოლიმპიადაზე პირველად გამოვიდა საქართველოს ეროვნული გუნდი



„სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის ლილეჰამერულ შთაბეჭდილებებს მესამე გვერდზე წაიკითხავთ

იმედია, მომდევნო ოლიმპიადებზეც დამოუკიდებლად ვიასპარეზებთ და რომელიმე გაერთიანებულ გუნდში აღარ შეგვლალავენ

მოგება-წაგება ისრაელში

„სამშაბათს თბილისს დაბრუნდა საქართველოს საფეხბურთო ნაკრები, რომელიც ერთი კვირის მანძილზე ისრაელში იმყოფებოდა. ამ ტურნეს შესახებ იყო საუბარი პარასკევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. როგორც წინა ნომერში გაუწყეთ, პირველი მატჩი ისრაელის ეროვნულ გუნდთან ჩვენებმა 0:2 წაგეს, თუმცა პენალტით ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ. ამჯერად პრეს-კონფერენციის ანგარიშით თავს არ შეგაწყენთ, ხოლო წაგებულ მატჩზე ისრაელის რუსულენოვანი გაზეთებიდან ამოკრეფილი ფრაზებით მოგითხრობთ:

„მე-6 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა: შოთა არველაძემ ძლიერად დარტყა, მაგრამ კოენმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია. კარგა ხანი მატჩი ქართველთა უპირატესობით მიდიოდა და მხოლოდ მე-20 წუთისთვის შეძლეს მასპინძლებმა თამაშის გათანაბრება. 27-ე წუთზე ეიალ ბერკოვიჩის მოწოდებულ საჯარიმოს კარგად დაუხვედრა თავი ელი ოპანამ და ანგარიში გაიხსნა. მალე ხაზანის დარტყმა ძელმა მოიგერია. ტაიმის ბოლო წუთზე კი კვლავ შოთა არველაძეს ჰქონდა შანსი: მან მეკარეც მოატყუა, მაგრამ ნირ კლინგერმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. მეორე ტაიმში ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა 6 შეცვლა მოახდინა და სანამ ახლები შეთამაშდებოდნენ, ქართველებმა სიტუაცია გამოასწორეს. ამ დროს გინცბურგმა ორჯერ იხსნა კარი. 65-ე წუთზე კი კლინგერმა მოცელა გურული, მაგრამ რევიშვილის პენალტი ისევ გინცბურგმა მოიგერია. და აქ მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ფეხბურთში — არ გაიტან, შენ თვითონ გგიტანენ: რეუვენ ატარის დარტყმა ცუდად მოიგერია დევაძემ და ოპანამ იღბლიანად დამატა“.

პრესა, მართალია არაა კმაყოფილი ისრაელის ნაკრების თამაშით, ფრიად გახარებულია გამარჯვებით, ვინაიდან ეს მწვრთნელის შლომო შერფის მე-20 თამაში ყოფილა, შინ კი პირველად მოუგია. რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, როგორც გაზეთი „ვრემია“ წერს, „იგი მწვავე, ტექნიკურ და იმედისმომცემ ფეხბურთს თამაშობს“.

ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, თუ რატომ დარტყა პენალტი რევიშვილმა და არა, ვთქვათ, გურულმა. ჩივაძემ ამაზე თქვა, რომ თამაშის წინ პერსონალურად არავისთვის დაუვალებია პენალტის დარტყმა. „იმ მომენტში რევიშვილმა გამოიჩინა ინიციატივა და გურულმაც დაუთმო. აწი ასეთი აღარ განმეორდება“ — თქვა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. აქვე გაირკვა, რომ მეორე მატჩი ჩვენებმა წამოსვლის წინა დღეს ისრაელის ოლიმპიურ ნაკრებთან ითამაშეს და 3:1 მოიგეს. ოთხივე გოლი ქართველთა ანგარიშზეა, ვინაიდან ერთი ბურთი საკუთარ მეკარეს ლობჟანიძემ გაუტანა. ეს მისი უკვე მეორე ავტოგოლია ნაკრების შემადგენლობაში — პირველად იგი აზერბაიჯანის ნაკრებს წაეხმარა.

დელეგაციის ხელმძღვანელი დავით კვინიკაძე დამსწრეთ დაპირდა, რომ ისრაელის ნაკრებთან ჩატარებული მატჩის ვიდეოჩანაწერს ტელევიზიას გადასცემს.

იმედია, „მაცნე-ვესტნიკებსა“ და „მარიანსტა-ბარბარას“ შორის გამოინახება დრო, რათა გულშემატკივარმა ბოლოსდაბოლოს ქვეყნის ეროვნული გუნდის თამაში იხილოს.

ზურაბ მეძველია

23 თებერვალი. ამდოდი

ისრაელი — საქართველო 2:0

ისრაელი: რ. კოენი (გინცბურგი 46), ა. ხაზანი (ბენ-შიმონი 70), კლინგერი, ა. ხარაზი (კეისი 46), შელახი, ბიტონი, რ. ლევი, ბერკოვიჩი (ზოარი 46), ნიმნი (ატარი 46, ტურჯმანი 82), რ. ხარაზი, ოპანა.

საქართველო: დევაძე, ბერაძე (ჯანაშია 76), ცხადაძე, ლობჟანიძე, გ. ჯიშკარიანი, რევიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ტუღუში (გურული 46), შ. არველაძე, ა. არველაძე (ყაველაშვილი 46).

გოლები: ოპანა (28, 77).

რევიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (66).

მსაჯი: პაიმ ლიპკოვიჩი (ისრაელი).

28 თებერვალი. ხაიფა

ისრაელი (ოლიმპიური) — საქართველო 1:3

ისრაელი (ოლიმპიური): პასი, კოენი, კოპელი, ბანადა, ბრომერი, პალფონი, აზულაი, ივვერბაუმი, სიკილია, რეფი, პოლცმანი.

საქართველო: ჩხეიძე, რევიშვილი, ლობჟანიძე, შეყილაძე, გ. ჯიშკარიანი, ჯანაშია (ბერაძე 78), ნემსაძე, ჯამარაული, ტუღუში, გურული (ანჩაბაძე 61), ყაველაშვილი.

გოლები: ყაველაშვილი (10), ჯანაშია (24), ჯამარაული (30), ლობჟანიძე (38, საკარში).

მსაჯი: ამით კლაინი (ისრაელი).



ებრაულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო ქართველების სტუმრობას

ოტო ბარიჩი: ცხადაძეს ჩემი დედა შეუერაცხყოს

საფეხბურთო ევროტურნირები

ჩემპიონთა ლიგა

მესამე ტური. 2 მარტი

„სპარტაკი“ — „ბარსელონა“ 2:2. ესპანეთის ჩემპიონმა კინალამ მოსკოველ არმიელებთან შარშან ჩატარებული „სპექტაკლი“ გაიმეორა. სტოიჩკოვმა და რომარიომ თითქოს ორი ქულა უკვე ჩაუჯიბეს „ბარსას“, მაგრამ როდიონოვმა და ბუსჩასტნიხმა გაახარეს ლუჟნიკებზე მოსული 83 ათასი მაყურებელი. ესპანელებმა მატჩის ასეთი უხეირო დასასრულის წყალობით ჯგუფში ლიდერობა დაკარგეს.

„მონაკო“ — „გალათასარაი“ 3:0. ოურქებს ვერა და ვერ გაუტანიათ გოლი ჩემპიონთა ლიგაში და თუმცა აქამდე არც გაშვებული ჰქონიათ, ოთხშაბათს პაირეთინს სამჯერ მოუხდა საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა. შიფოს, ჟორკაეფის და კლინსმანის გოლებს კიდევ სამი შეიძლება მიმატებოდა, მაგრამ მონაკელებმა ესეც იკმარეს. ჯერჯერობით ლიგაში შემთხვევით მოხვედრილი „მონაკო“ შინ ზედიზედ მეორედ იგებს დიდი ანგარიშით და ჯგუფსაც ლიდერობს.

	„ა“	ჯგუფი				
მონაკო	3	2	0	1	7-3	4
ბარსელონა	3	1	2	0	4-2	4
სპარტაკი	3	0	2	1	3-5	2
გალათასარაი	3	0	2	1	0-3	2

„მილანი“ — „ვერდერი“ 2:1. მალდინის თაურით „მილანი“ პირველ ტაიმში დაწინაურდა. შესვენების შემდეგ „ვერდერის“ მცველმა მარიო ბასლერმა შორიდან ისეთი გოლი გაუტანა სებასტიანო როსის, რომ ალბათ, მიდიოდა და ფიქრობდა: ესაა, იტალიის ჩემპიონატში რეკორდს რომ ამყარებსო? როსის ხელებშუა გაუძვრა ბურთი და სტუმრებს შანსი მიეცათ, მაგრამ გერმანელებმა მასპინძლებს თავაზიანობით უპასუხეს და სავიჩევიჩი ცარიელ კართან მიაცილეს. მანაც არ დააყოვნა.

„ანდერლეხტი“ — „პორტუ“ 1:0. ლუკ ნილისმა ორჯერ დარტყა კარებისაკენ: ერთხელ მეკარემ რის ვაი-ვაგლახით აიღო, 81-ე წუთზე კი ეს ვეღარ შეძლო. „ანდერლეხტმაც“ პირველი გამარჯვება მოიპოვა და მეორე ადგილზე გავიდა.

	„ბ“	ჯგუფი				
მილანი	3	2	1	0	5-1	5
ანდერლეხტი	3	1	1	1	4-5	3
ვერდერი	3	1	0	2	8-8	2
პორტუ	3	1	0	2	3-6	2

თასების თასი

მეოთხედფინალი. 1-3 მარტი

„ტორინო“ — „არსენალი“ 0:0. 30 ათასი ტურინელი საათნახევარი შესცქეროდა თავისიანთ საცოდავ თამაშს. თავი არც სტუმრებს გამოუჩენიათ, თუმცა ნელოვანი შედეგი მაინც „არსენალის“ მწვრთნელის ჯორჯ გრეჰემის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. იგი დასწრებია „ტორინოს“ „ინტერთან“ მოგებულ მატჩს და სათანადო დასკვნებიც გამოუტანია. გუნდებმა მხოლოდ თითო სახიფათო მომენტი შექმნეს. საპასუხო შეხვედრაში ლონდონელებს დაემატება იან რაიტი, ვინც სამშაბათის მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

იხილეთ მეორე გვერდი

დასაწყისი პირველ გვერდზე

დედის ბინეგა დედის დღეს

„ბენფიკა“ — „ბაიერი“ ლევერკუზენი 1:1. მასპინძლებმა მხოლოდ პირველი 15 წუთი ითამაშეს მასპინძლურად, შემდეგ კი ანდრეას ტომის თამაღობით გერმანელებმა თამაში გაათანაბრეს და 65-ე წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში (მარკუს ჰაპე). „ბენფიკამ“ მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე შეძლო 80 ათასი გულშემატკივრის გახარება, როცა არეულობაში იმარჯვა შეცვლაზე გამოსულმა ბრაზილიელმა ისაიამ. თუ საპასუხო მატჩისთვის ლევერკუზენს ულფ კირსტენიც დაემატა, „ბენფიკას“ ძალიან გაუჭირდება.

„რეალი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:1. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საკმარისია „რეალს“ ერთხელ მოუგო და მერე მას თქვენი კომპლექსი უწნდება. ასეა „ტენერიფეს“. ასეთივე პირი უჩანს „პარი სენ-ჟერმენსაც“, ვინც მადრიდელები შარშან გაძოაგდო უეფას თასიდან, არადა, შეხვედრა მასპინძელთა შტურმით დაიწყო და მე-17 წუთზე სამოცანომ თაურით ბურთი ძელს გაარტყა. შემდეგ, 30-ე წუთზე ლუის ერნიკეს ერთი მეტრიდან ამხელა კარს ვერ გაარტყა და ორიოდ წუთში „რეალი“ დაისაჯა კიდეც: ჟინოლამ ორი კაცი მოატყუა და ჟორჟ ვეას გოლი გაატანინა. მეორე ტაიმიც ლამას კარის შტურმით დაიწყო. მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერმა მწვავე კონტრშეტევებითა და თამაშის რიტმის ხშირი შეცვლით საკმაოდ დაწყნარა დკომპლექსებული მეტოქე.

„აიაქსი“ — „პარმა“ 0:0. ამსტერდამის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი 45 ათასი მაყურებელი ვერა და ვერ ეღირსა ერთ გოლს, თუმც ამის ბევრი შესაძლებლობა იყო. ნულების მიუხედავად, სანანობრივად ეს მატჩი ამ კვირაში გამართულ თერმეტივეს სჯობდა. ორივე გუნდს ჰქონდა დაწინაურების შანსი, მაგრამ ვერც ლიტმანენმა, ვერც პეტერსონმა („აიაქსი“), ვერც ასპრილიამ და ვერც ძოლამ („პარმა“) ვერ დაბოლოვეს თანაგუნდელთა შეტევები. „აიაქსის“ მწვრთნელ ლუის ვან გაალს თამაშის შემდეგ უთქვამს: როცა ამდენ მომენტს ვერ გამოიყენებ, მადლობელიც უნდა დარჩე, რომ არ წაგეო.

უეფას თასი

მეოთხედფინალი. 1-3 მარტი

„კალიარი“ — „იუვენტუსი“ 1:0. იტალიური მეოთხედფინალის პირველი მატჩი ქვეყნის ჩემპიონატში მეათე ადგილზე მყოფმა „კალიარიმ“ მოიგო. სარდინიელებმა საიმედოდ ჩაკეტეს ქებული რობერტო ბაჯო და სტუმრებს მხოლოდ ერთხელ, მეოთხე წუთზე ჰქონდათ რეალური შანსი, რიჩარ რავანელიმ ბურთი ცარიელ კარში ვერ მოახვედრა. ნახევარ საათში რავანელიმ ტრავმა მიიღო და იგი ხორვატი ზორან ბანით შეცვალეს, მაგრამ ვერც მან გაამართლა. ერთადერთი გოლი 59-ე წუთზე გავიდა, როცა გერმანელმა კოლერმა ბურთს ფეხი აიცილა და ამით მასპინძელთა 27 წლის პანშელმა დელი ვალდესმა ისარგებლა.

„ბორუსია“ დორტმუნდი — „ინტერი“ 1:3. მატჩის წინ ორივე გუნდის ფეხბურთელები იმუქრებოდნენ. იტალიელთა კაპიტანმა ჯუზეპე ბერგომიმ თქვა: „ტორინოსთან“ კი წავაგეთ, მაგრამ თავმოყვარეობა ჩვენც გაგვაჩნია და ამას დორტმუნდში დაგანახებთო. „ბორუსიას“ მოთამაშე მათიას ზამერმა კი „ინტერი“ ასე მოიხსენია: სახელია და მეტი არაფერიო. ზამერი აშკარად შეცდა: მილანელებმა ტრავმირებული ბერზკამპის გარეშეც მშვენივრად ითამაშეს და უკვე 36-ე წუთისთვის 2:0-ს იგებდნენ. ჯერ მანკონეს ბრწყინვალე პასით იხეირა ვინ იონკმა, სამ წუთში კი თავად ჰოლანდიელმა სხვების დაუხმარებლად ცორკი და შელცი მოატყუა და მეკარე კლასსაც შანსი არ დუტოვა. მიხაელ ცორკი ისედაც გრიპიანი თამაშობდა და ამ შეცდომისა და ავადმყოფობის გამოც მეორე ტაიმში აღარ გამოსულა, თუმცა არც შემცვლელად გამოსულ დანიელ პოლსენს უქნია სასიკეთო რამ. მხოლოდ 83-ე წუთზე არგენტინელი ლეო როდრიგესის ჩამოწოდებული კუთხურიდან შელცმა თავით 1:2 გახადა, მაგრამ მატჩის ბოლო წამებზე შალიმოვმა კვლავ აღადგინა ორბურთიანი სხვაობა. საპასუხო შეხვედრას მეორე გაფრთხილების გამო გამოტოვებს „ინტერის“ მცველი მასიმო პაგანინი, თუმცა, არა მგონია, ამან იტალიელებს დიდი სირთულეები შეუქმნას.

„ბოავიშტა“ — „კარლსრუე“ 1:1. მასპინძლები დომინირებდნენ და 38-ე წუთზე ნიგერიელმა რიკი ოვუბოკირმა გახსნა ანგარიში. მანვე მეორე ტაიმში ძელს გაარტყა ბურთი და ამის მერე ცოტა ხანში გერმანელებმა, რომლებიც კირიაკოვისა და შმაროვის გარეშე თამაშობდნენ, საწადელს მიაღწიეს: მცველი მიხაელ ვიტვერი მეტოქის საჯარიმოსთან მიუხედავი აღმოჩნდა და მარცხნა ფეხით ცხრიანში დააყუმბარა.

„კაზინო“ — „აინტრახტი“ 1:0. ზალცბურგელებს შინ მხოლოდ ათიათასიანი სტადიონი აქვთ და ამიტომ საშინაო შეხვედრა ვენის ერნსტ ჰაპელის სტადიონზე გამართეს. 47 ათასი მაყურებლის გასახარად 39-ე წუთზე ჰუტერის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა. სენსაციური გამარჯვების მიუხედავად, „კაზინოს“ მწვრთნელი ოტო ბარიჩი უკმაყოფილო იყო: სირცხვილია, რომ ასეთი უპირატესობის მიუხედავად 2:0-იც კი ვერ მოვიგეთო. მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია 50-ე წუთზე მომხდარმა ინციდენტმა, როცა ბარიჩი რეზერვიდან ჰუსაინოვმა სათადარიგო სკამიდან გააძევა. ჰუსაინოვის განაჩენი იმან გამოიწვია, რომ ავსტრიელთა მწვრთნელი სარბენ ბილიკებზე გავარდა და... კახა ცხადაძეს შეაფურთხა. ჟურნალისტებს ბარიჩმა შემდეგი განუცხადა: „ცხადაძე თამაშის დროს ჩემთან მოიჭრა და დედაჩემი შეურაცხყო. ამაზე რუხმა მსაჯმა რეაგირება არ მოახდინა, ჩემს საპასუხო რეპლიკაზე კი შემომწყრაო“. საინტერესოა, რომელ ენაზე, ან რატომ აგინა გერმანიაში მოთამაშე ქართველმა ავსტრიელთა ხორვატ მწვრთნელს დედა, თანაც მაინცდამაინც „დედის დღეს“. იმედია, ამას ძალე შევიტყობთ. „აინტრახტის“ ბოლო „წარმატებებს“ თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა „კაზინო“ პირველი ავსტრიული კლუბი გამოდგეს, ვინც ევროთასებიდან გერმანულ გუნდს გამოაგდებს.

ზურაბ მეძველია

«ტრაბზონსფორი» — 13:0

თურქეთის ჩემპიონატის მეორე წრე ექვს თებერვალს განახლდა. ტყუპების „ტრაბზონსფორი“ ამ დღეს გასვლით მატჩს თამაშობდა „ბურსასფორთან“. არველაძეების გუნდის შეტევების მიუხედავად მატჩი უგოლოდ, 0:0 დამთავრდა. ერთი კვირის თავზე „ტრაბზონმა“ შინ მიიღო „ზეითუნბურუსფორი“ და 5:0 გაანადგურა. ხუთივე საგოლე პასი „ტრაბზონის“ საუკეთესო ბომბარდირმა შოთა არველაძემ გააკეთა! ერთი გოლი ძმის გადაცემით არჩილმა შეაგდო. ამ მოგებით „ტრაბზონმა“ 32 ქულა დააგროვა და ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრო უშუალო კონკურენტს, აქამდე მესამე ადგილზე მყოფ „სამსუნსფორს“, რომელთანაც 20 თებერვალს პრინციპული მატჩი ჰქონდა სამსუნში. „ტრაბზონის“ ერთ-ერთი შეტევისას არჩილი მეტოქის საჯარიმოში წააქციეს და მსაჯმა პენალტი დანიშნა. ამას „სამსუნის“ ფეხბურთელთა და გულშემატკივართა მხრიდან აურზაური და აყალმაყალი მოჰყვა, მატჩი ჩაიშალა და თურქეთის ფედერაციამ „ტრაბზონს“ 3:0 მოგება მიაკუთვნა. 27 თებერვალს „ტრაბზონმა შინ მეცხრამეტე ტურის მატჩში კვლავ 5:0 მოუგო „ქარშიაქას“. შოთამ ორი გოლი შეაგდო, არჩილმა ერთი. ექვს მარტს „ტრაბზონი“ სტუმრად თამაშობს აუტსაიდერ „ანკარაგიუჯიუსთან“ ანკარაში. ცხრა მარტს კი შინ თასის ნახევარფინალის მეორე თამაში აქვს „ბეშიქთაშთან“ (პირველი მატჩი 1:3).

სარბიელი

ტოტალიზატორი

"CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

			1	X	2
4-6 მარტი	ლიპციგი	— დორტმუნდი	2,2	2,0	2,3
	ლევერკუზენი	— მიონხენგლადბახი	1,2	2,5	5,5
	კარლსრუე	— ნიურნბერგი	1,3	2,0	6,0
	დუისბურგი	— ვატენშაიდი	1,2	2,4	6,0
	დინამო	— კიოლნი	1,3	2,0	6,0
	ფრაიბურგი	— აინტრახტი	1,7	2,2	3,0
	შტუტგარტი	— პამბურგი	1,5	2,5	3,0
	შალკე	— კაიზერსლაუტერნი	1,5	2,5	3,0
	ბაიერნი	— ვერდერი	1,3	2,3	4,5
	ბილბაო	— ვალენსია	1,3	2,3	4,5
	ლოგრონიესი	— სელტა	1,4	2,1	4,5
	რაიო	ვალეკანო — სპორტინგი	1,4	2,1	4,5
	ლერიდა	— რეალი	3,5	2,5	1,3
	ტენერიფე	— სევილია	1,4	2,3	3,8
	სანტანდერი	— რეალ სოსიედადი	1,5	2,1	3,7
	ატლეტიკო	— ალბასეტე	1,3	2,3	4,5
	ოვიედო	— ბარსელონა	3,5	2,5	1,3
	ლა კორუნია	— სარაგოსა	1,3	2,2	5,0
	ვალიადოლიდი	— ოსასუნა	1,4	2,0	4,8
	ფოჯა	— ატლანტა	1,3	2,2	5,0
	კალიარი	— კრემონეზე	1,3	2,2	5,0
	პიაჩენცა	— ჯენოა	1,5	2,0	4,0
	იუვენტუსი	— მილანი	1,5	2,2	3,4
	ლეჩე	— ნაპოლი	3,8	2,3	1,4
	რეჯანა	— პარმა	2,0	2,0	2,5
	სამპდორია	— ტორინო	1,2	2,4	6,0
	ინტერი	— უდინეზე	1,3	2,2	5,0

მიქაშავიძის ახალი თავგადასავალი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში16 თებერვალს ჩიკაგოდან ფაქსი მოვიდა, რომელშიც აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ჰენკ სტაიბრეხერი ქართველი კოლეგებს სთხოვდა ფიფას წესდებიდან გამომდინარე საერთაშორისო სერთიფიკატი მიეცათ ქართველი ფეხბურთელის, ვასილ მიქაშავიძისთვის. შესაბამისი საბუთები უმალ გაფორმდა და 20 აპრილს მიქაშავიძე სეზონის პირველ მატჩს ითამაშებს ჩრდილო კაროლინის მთავარი ქალაქის, რალის გუნდში — „რალი ფლაიერზში“.

მას შემდეგ რაც 1985 წელს საფრანგეთში იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა, მიქაშავიძე სულ წინააღმდეგობათა გადალახვაშია: ჯერ იყო და ჭაბუკობისას მიღებული მცირე ტრავმა ისე გაურთულდა, ექიმებმა ჩამოწერეს, დიდი დღე არ უწერიაო. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მიქაშავიძემ რუსთავის „გორდას“ შემადგენლობაში ნათამაშევ 91 მატჩში 24 გოლიც გაიტანა და ორჯერ ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. შემდეგ ჰოლანდიაში, „აზ-67 ალკმაარში“ გაესინჯა, მოეწონათ, მაგრამ რად გინდა, ჰოლანდიის შრომის სამინისტრომ ქვეყანაში დარჩენის უფლება არ მისცა. შემდეგ მაროკოში, დედაქალაქის „რაჯა დუ კასაბლანკაში“ ვალენტინ ივანოვთან სცადა ბედი თანაგუნდელ ფირცხალავასთან და ფანცულაისთან ერთად, მაგრამ იმდენად მცირე გასამრჯელო შესთავაზეს, რომ აფრიკიდან ოთხივემ უმალ პირი იბრუნა. მიქაშავიძე მერე კვიპროსში ჩავიდა, ქალაქ ევაგორასის „ბაფოსში“ ის-ის იყო ხელი უნდა მოეწერა კონტრაქტისთვის, რომ ექიმებმა მენისკი დაუდგინეს და ვასოც სამშობლოში გამოემგზავრა. მისი გვარი მეხუთე ჩემპიონატში არცერთი გუნდის განაცხადში არ იყო შეტანილი. ვასოს ამასწინათ შევხვდი და მისი ამერიკული ამბები მაშინ გავიგე:

— გასული წლის ბოლოს ბუდაპეშტში უნდა გავფრენილიყავი მენისკის ოპერაციის გასაკეთებლად. თბილისის აეროპორტში შუქი გამოირთო და გაფრენა გადაიდო. მეორე დილით ის იყო სახლიდან უნდა გავსულიყავი, რომ ტელეფონმა დარეკა. ავიღე ყურმილი და წარმოგიდგენია, რას მეუბნებიან: „ამერიკიდან გირეკავ, ილია თუმაჯანოვი ვარ (ფეხბურთის გულშემატკივრები იმედია გაიხსენებენ ბრწყინვალე ინგლისურით მოლაპარაკე ძველ ფეხბურთელს, ილია თუმაჯანოვს. მ.კ.), სასწრაფოდ აიღე ბილეთები და ვაშინგტონში ჩამოდი, მე უკვე აქ ერთ კლუბს მოველაპარაკე და კონტრაქტზე ხელის მოწერის გარდა აღარაფერი დარჩაო“. მეგონა, მეხუმრება-მეთქი. იმ დღეს ბუდაპეშტში გავფრინდი, მეორე დილასვე გავესინჯე კლინიკაში, პალატაც გამომიყვეს საოპერაციოდ, დავბრუნდი სასტუმროში და... კვლავ თუმაჯანოვმა დამირეკა და გადამრია: „კოლეჯში ისწავლი, კლუბის მენეჯერი როლანდ ბეიკა ჩემი მეგობარია, სოლიდური ხელფასი გექნება და თუ უმაღლეს ლიგაში გადახვედით, ხომ მთლად აშენდებიო“. იმდენი მეჩიჩინა, გადამაფიქრებინა მენისკის ოპერაცია და თბილისში დავბრუნდი. მარტის დასაწყისში მივემგზავრები ამერიკას. ჩემი გუნდი „რალი ფლეიერზი“ პირველ ლიგაში გამოდის, თვითონ ქალაქი რალი ორი საათის სავალზეა ვაშინგტონიდან.

ორი თვეა, გაძლიერებულად ვემზადები, რვა კილო დავიკელი, თანაც მუხლს ვუფრთხილდები, თუმაჯანოვმა მითხრა თუ საოპერაციოა, აქვე გაგიკეთებთ და ოპერაციის მეორე დღესვე ვარჯიშს დაიწყებო.

ნოდარ ახალკაცის, მერაბ ჟორდანიას და სხვათა დახმარებით ყველა ფორმალობა მოგვარებული მაქვს, სალაპარაკო ინგლისურიც ვისწავლე. წავალ ამერიკაში და ვცდი ბედს, ბოლოსდაბოლოს ერთხელ ხომ მაინც უნდა გამიმართლოს ცხოვრებაში?

მამუკა კვარაცხელია

«ბენდელას თასი»

„ბენდელას თასის“ ფინალში ზაზა ბენდელიანის მეგობრებით დაკომპლექტებულმა გუნდმა „ბენდელამ“ ბუბა ტყავაძისა და კახა ჭუმბურიძის გოლების წყალობით დაამარცხა „მორკინალი“. მესამე ადგილისთვის მატჩში რუსთავის „მეტალურგმა“ ბადრი კვარაცხელიას ერთადერთი გოლით სძლია ბაღდათის „ბაასს“. ტურნირზე დაწესებული პრიზები ასე განაწილდა: საუკეთესო მოთამაშედ ერთხმად აღიარეს დავით სოლოღაშვილი (ბენდელა), მეკარეებად მამუკა ქორიძე (მეტალურგი) და ზურა ანასაშვილი (მორკინალი), ტექნიკურ მოთამაშეებად ბუბა ტყავაძე (ბენდელა) და პეტრე ცაავა (მორკინალი), მცველად — ირაკლი გაბელაია (ბენდელა), თავდამსხმელად — გოდერძი ნატროშვილი (ბენდელა). საუკეთესო ბომბარდირი ვასილ მაისურაძე გახდა (მორკინალი, 12 გოლი). ტურნირის ულამაზესი გოლი თბილისის დინამოელმა მიხეილ ცქიტიშვილმა გაიტანა.

ტურისტული ფირმა „იმედი-92“

გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია — გერმანიის გავლით. პირდაპირი რეისი თბილისი — პრაღა. პრაღიდან ჰოლანდიამდე მგზავრობა კომფორტული ავტობუსით. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. ფირმა სხვა ფირმებს დაეხმარება ვიზების გაფორმებაში.

ქაირო-ალექსანდრია ეგვიპტე — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.

საბერძნეთი (სალონიკი) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.

სირია (ალეპო) თურქეთის გავლით — მგზავრობა „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით.

ბულგარეთი (ვარნა) — თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით.

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 38-11-14; 89-24-320 6,0

სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „ა ჩ ი“

ითვალისწინებს რა თქვენს სურვილებს, აგრძელებს თანხების მიღებას შემდეგი პირობებით:

1 თვე 17%
3 თვე 18,5-20,5% თვეში
6 თვე 21-26% თვეში
12 თვე 28% თვეში.

შომხახურების კომპიუტერული სისტემა, მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის საქმიან წრეებთან, საინვესტიციო საქმიანობა, სასაქონლო ოპერაციები თქვენი თანხების უსაფრთხოების გარანტიაა!

ჩვენი მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 75. ტელეფონები: 95-44-35 9-18 სთ. მიღება 14-18 სთ. თან იქონიეთ პასპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ILIA BABUNASHVILI
THE SARBIELI (GEO)

ლილეჰამერული შთაბეჭდილებები

1. პირველი ოლიმპიადა: შესანიშნავი და უიღბლო

ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, როდესაც ლილეჰამერში ზამთრის მე-17 თამაშების დახურვის საღამოს, „ოლიმპიკ პარკის“ ტრამპლინებიან სტადიონზე შეკრებილ პუბლიკას მიმართა: ასეთ საუცხო ოლიმპიადას კაცობრიობა ჯერ არ მოსწრებიაო. რაღაც ამდაგვარს პრეზიდენტები ყველა წარსულ თამაშებზე ამბობდნენ და მომავალშიც იტყვიან, ქართული სპორტის და ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში კი ნორვეგიის დედაქალაქიდან მანქანით ორი საათის სავალზე, ერთ ფერდობზე შეფენილი ეს პატარა ქალაქი საგანგებო ადგილს დიკავებს. 1994 წლის 12 თებერვალს, პირველად ქვეყნის ისტორიაში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური გუნდი უცხოთა გუნდებთან ყოველგვარი შეზავების გარეშე, ოლიმპიადის მთავარ სარბიელზე, საკუთარ სახელმწიფო დროშას შეყვა. საქართველოს ნკრების ხუთმა წევრმა ოთხ სახეობაში იასპარეზა. შედეგი, როგორც ველოდით, ერთობ მოკრძალებული იყო, მაგრამ ამჯერად ჩვენი გუნდი ალბათ ერთ-ერთი იმთგანი იყო, რომლის დევიზიც საუსბით ემთხვეოდა ცნობილ ოლიმპიურ მოწოდებას — მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება.

ქართული დროშის აღმართვის ოფიციალური ცერემონიალი გახსნის წინა დღეს, 11 თებერვალს ოლიმპიური სოფლის ე.წ. ინტერ-ზონაში ჩატარდა. დღის 12 საათზე პატარა მოედანზე, სადაც ყოველი მონაწილე ქვეყნის ალმისთვის სვეტები იყო აღმართული, დანიის ფიჯის, ჩინეთის და ტრინიდად-ტობაგოს დროშებთან ერთად ნორვეგიელმა ჯარისკაცებმა საქართველოს დროშა აღმართეს. ლილეჰამერის მერმა მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა, მისმა თანმხლებმა ლამაზმანებმა კი გუნდების მედროშეებს (საქართველოდან მედროშე კახა ვახტანგიშვილი იყო) საჩუქრები გადასცეს. თავის მხრივ ვახტანგიშვილმა ქართული ჩვეულებისამებრ საპასუხო სუვენირი მიუძღვნა მასპინძლებს. თითქოს ყველაფერი კარგად ჩატარდა, ერთი გულდასაწყვეტი შეცდომა რომ არა... ეს შეცდომა ნორვეგიელებმა დაუშვეს, როდესაც ჩვენს ნაცვლად „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებისა“, „დობრო პოჟალოვატო“ უთხრეს, თუმცა მასპინძლებს რას ვერჩით, არცოდნა არცოდვაო ნათქვამია. ჰოდა ცერემონიალის დამთავრებისთანავე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა და ქვეყნის დელეგაციის სხვა წარმომადგენლებმა თარჯიმნის საშუალებით დამხვდურთ შეცდომა გაუსწორეს, რის შედეგადაც მეორე დღეს, გახსნის ცერემონიალზე, მთელი პლანეტის გასაგონად უკვე ქართული მისალმება გაისმა. სხვათა შორის გამოცვლევინეს აღმართული დროშაც, რომლის ძირითადი ფერიც შვინდისფრის ნაცვლად წითელი გახლდათ.

ქართველმა ჟურნალისტებმა აქვე შევიტყვეთ (თუ დავინახეთ) ერთი უსიამოვნო ფაქტი: მოციგაოთა წყვილის ერთ წევრს, ლევან თიბილოვს მარჯვენა ხელის მტევანი თაბაშირში ჰქონდა. მოვეხსენებათ, ზამთრის სახეობათა წარმომადგენლები თვეობით უცხოეთში არიან, ერთი ქვეყნიდან მეორეში მგზავრობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, ჯერჯერობით ვერც განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევიან და შესაბამისად მათ შესახებ ინფორმაცია მწირია ხოლმე. ამიტომაც გერმანიაში თიბილოვის 18 იანვარს დაშავებული ცერა თითის ამბავი მთელი ოცდაოთხი დღის მერე ნორვეგიაში შეიტყობდეთ. ლევანი კი იხტიბარს არ იტეხდა, არა უშავს ცერას გარდა სხვა თითები ხომ რიგზე მაქვს, თაბაშირს მოვიხსნი და შეჯიბრებაზე ისე ვიციგავებო. შეფიქრიანებული იყო წყვილის მწვრთნელი და ლევანის ბიძა ყაზბეგ თიბილოვი: სტარტამდე ერთი კვირაღა რჩებოდა, ბიჭები კი ახალთახალ ავსტრიულ ციგას ჯერაც არ მიეკარებოდნენ. როგორც შემდეგ, პირველივე ვარჯიშზე გაირკვა, თიბილოვმა და ვახტანგიშვილმა ძველ, შეჩვეულ ციგაზე არჩიეს გადაჯდომა (და არა რუსულზე, რომელიც მათ ავსტრიელის წინ დაიწუნეს). საბოლოოდ ციგათა ამღენმა ცვლამ და ტრავმამ ბუნებრივი უარყოფითი შედეგი გამოიღო (მე-17 ადგილი). მოციგაკეთა წყვილზე უპირველესად იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ საქართველოს ნკრების წევრთაგან ყველაზე კარგ შედეგს სწორედ მათგან ელოდნენ და ამ კარგ შედეგად ათეულში მოხვედრას თვლიდნენ, თუმცა, შესაძლოა, ასეთი მიზნის დასახვა თავიდანვე გადაჭარბებული იყო.

ზემოთ ქართველი ჟურნალისტები ვახსენეთ. ლილეჰამერში ქვეყნის პირველ დამოუკიდებელ ნკრებს ჟურნალისტთა ასეთი გუნდი ახლდა: ელგუჯა ბერიშვილი (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი), თამარ ბალავაძე (საქართველოს ტელევიზიის კომენტატორი), პაატა ნაცვლიშვილი („სამშობლოს“ რედაქტორი) და ილია ბაბუნაშვილი („სარბიელის“ კორესპონდენტი). მათ გარდა ჩვენი გუნდის ოლიმპიური ატაშეს რანგში თამაშებს ესწრებოდა რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის თანამშრომელი დავით კაკაბაძე, რომელიც ნორვეგიიდან მიუწვენში, „თავისუფლების“ რედაქციაში გადასცემდა ინფორმაციას. ჟურნალისტებზე, პრესცენტრზე და კავშირგაბმულობის თა-



თიბილოვი და ვახტანგიშვილი ჰუნდერფოსენის ტრასაზე

ნამედროვე საშუალებებზე ქვემოთ გესაუბრებით, ახლა კი ისევ მატიანეს დავუბრუნდეთ. სამთამოთხილამურე ზურაბ ჯიჯიშვილს ბედმა არგუნა გამხდარიყო პირველი სპორტსმენი, რომელმაც დამოუკიდებელი ეროვნული გუნდის სახელით ოლიმპიადაზე იასპარეზა. გავა წლები და მომავალი თაობის ჟურნალისტებისა თუ გულშემატკივრებისთვის ალბათ მეორეხარისხოვანი გახდება ის, რომ მან სწრაფდაშვების საბოლოო ცხრილში 47-ე ადგილი დიკავა. იმედია, იმ დროისთვის ზამთრის სახეობებში უკვე ჩემპიონებიც გვყოლება და დღევანდელ მოვლენებს მხოლოდ ისტორიის თვალსაზრისით შეხედავენ. 13 თებერვლის დილას კი კვიტფელის სწრაფდაშვების ტრასაზე ორმოცდამეექვსე ნომრად განთავსილი ჯიჯიშვილი სწორედაც შედეგზე ფიქრობდა, მისი სურვილი ორმოცდაათ უძლიერესში მოხვედრა იყო. მოგეხსენებათ, სწრაფდაშვებაში თავიდან ფავორიტები გამოდიან. როდესაც ერთ-ერთი ბოლო კაცის გამოსვლისას კვიტფელის პრეს-ცენტრში თავშოყრილმა ქართველებმა ეუბნადღება დავძახეთ და ერთგვარი ღელვაც კი დაგვეტყო, ახლომახლო მაგიდებიდან უცხოელმა კოლეგებმა გაკვირვებით გადმოგვხედეს: ახლა, შეჯიბრებას ახრი რომ აღარა აქვს, რამ გადარია ეს ხალხიო. დაახლოებით იგივე შეემთხვა თამარ ბალავაძესაც, რომელსაც ტრასის პირას ვიდეოკამერამომარჯვებულს ორი წინმდგომისთვის უთხოვია, ეხლა რომ სპორტსმენი დაეშვება, ნუ ჩამომეფარებითო, მათ კი გაკვირვებით მხრები აუჩეჩათ. ასეა, ზოგისთვის ვიღაც მაჩანჩალა მოდიოდა, ზოგისთვის კი ადამიანი, რომელიც ისტორიაში შედის.

სწრაფდაშვების გარდა, ჯიჯიშვილმა ალპურ კომბინაციაშიც სცადა ბედი. კომბინაციის პირველ სახეობაში, სწრაფდაშვებაში 14 თებერვლს მან ორმოცდაეთხუნეტ შედეგს მიაღწია. ზურაბის მწვრთნელი გერა აბრამიშვილი თვლიდა, რომ კომბინაციის მეორე სახეობაში, სლალომში მას ოცდაათეულში მოხვედრის გარკვეული შანსი ეძლეოდა, ვინაიდან სლალომის ტრასას ბევრი სპორტსმენი ვერ ჩავიდოდა ბოლომდე. 25 თებერვალს საშუალოდ ზურაბიც მათ რიცხვში მოხვდა.

„თეთრ“ ოლიმპიადებზე ოთხჯერ გამოსული (სხვ ნკრების შემადგენლობაში) ქართველი მხტომელის, კობა წაქაძის ვაჟი კახა დიდი ტრამპლინიდანაც გადმოხტა (55-ე ადგილი) და საშუალოდანაც (50-ე ადგილი). ერთგვარად პარადოქსულიც იყო, რომ შეჯიბრებების წინ, ვარჯიშებზე, ზოგ შემთხვევაში იგი 90-მეტრიანიდან უფრო შორს გადახტა, ვიდრე 120-მეტრიანიდან. ამით თუ აიხსნება საშუალო ტრამპლინიდან ხტომებში მისი უკეთესი შედეგი. რაღა თქმა უნდა არც წაქაძის გამოსვლით შეიძლება ტრაბახი, მაგრამ ალბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ფაქტობრივად ხტომისთვის თავი ჰქონდა მინებებული, ინტენსიურად მხოლოდ გასულ შემოდგომაზე შეუდგა თარჯიმს და ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის აუცილებელი ნორმატივი წლის ბოლოსღა შეასრულა. ლილეჰამერის დიდ ტრამპლინთან მისულს, მას წლის განმავლობაში სულ შვიდი ხტომი ჰქონდა შესრულებული. როგორც შევიტყვეთ, მას ქართული სპორტის მესვეურთათვის პირდაპირ განუცხადებია, თუკი სპორტისთვის აუცილებელი ხელშეწყობა და დაფინანსება მექნება, ვივარჯიშებ და შედეგსაც გავუმჯობესებ, თუ არა და, ვინძლო ბიზნესს მოვკიდო ხელიო. საყოველთაო აზრით, კახა ნიჭიერი სპორტსმენია, რომელიც ადრე, თანატოლებში საბჭოთა კავშირში უძლიერესი იყო და სპარტაკიადის ოქროს მედალიც აქვს მოგებული.

სხვაგვარად იყო სამთო მოთხილამურის ლევან აბრამიშვილის საქმე. მას საოლიმპიადო ნორმატივი შესრულებული არ ჰქონდა და ამიტომ მის სარბიელზე დაშვებას ქართული სპორტის ხელმძღვანელთა დიპლომატია დასჭირდა. რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი გაგებით მოეკიდა ქართველი კოლეგების თხოვნას და აბრამიშვილის კლასის ვარჯიშებზე შესწავლა და საბოლოო გადწყვეტილების ამის მიხედვით მიღება აღუთქვა. ლევანმა სლალომის სტარტამდე (შეჯიბრება ოლიმპიადის დახურვის დღეს გაიმართა) ერთი-ორი დღით ადრე შეიტყო, რომ იგი დაშვებულია, მაგრამ ხელი კი მოეცარა. დიაწყო თუ არა გამოსვლა, ფეხი მოესრიალდა, თხილამური გასხვრა და წაიქცა. აქვე დავძენთ, რომ ამ სახეობაში, სტარტზე გამოსული სამოცი სპორტსმენიდან, ორი ცდის შედეგად წაუქცევლად მხოლოდ ოცდაორი დასრულა ასპარეზობა. იმედია, რომ ეს საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ბიჭი მომავალში უფრო იღბლიანი იქნება.

ილია ბაბუნაშვილი,
ლილეჰამერი — თბილისი

ჰოკეი

A ჯგუფი. ფინეთი — ჩეხეთი 3:1, ავსტრია — გერმანია 3:4, რუსეთი — ნორვეგია 5:1; გერმანია — ნორვეგია 2:1, რუსეთი — ფინეთი 0:5, ჩეხეთი — ავსტრია 7:3; ავსტრია — რუსეთი 1:9, ნორვეგია — ფინეთი 0:4, ჩეხეთი — გერმანია 1:0; გერმანია — რუსეთი 4:2, ჩეხეთი — ნორვეგია 4:1, ფინეთი — ავსტრია 6:2; რუსეთი — ჩეხეთი 4:3, ფინეთი — გერმანია 7:1, ნორვეგია — ავსტრია 2:4

ფინეთი	5	0	0	25-4	10
გერმანია	3	0	2	11-14	6
ჩეხეთი	3	0	2	16-11	6
რუსეთი	3	0	2	20-14	6
ავსტრია	1	0	4	13-28	2
ნორვეგია	0	0	5	5-19	0

B ჯგუფი. შვედეთი — სლოვაკეთი 4:4, საფრანგეთი — აშშ 4:4, იტალია — კანადა 2:7; შვედეთი — იტალია 4:1, კანადა — საფრანგეთი 3:1, აშშ — სლოვაკეთი 3:3; სლოვაკეთი — იტალია 10:4, კანადა — აშშ 3:3, საფრანგეთი — შვედეთი 1:7; სლოვაკეთი — კანადა 3:1, საფრანგეთი — იტალია 3:7, შვედეთი — აშშ 6:4; სლოვაკეთი — საფრანგეთი 6:2, კანადა — შვედეთი 3:2, აშშ — იტალია 7:1

სლოვაკეთი	3	2	0	26-14	8
კანადა	3	1	1	17-11	7
შვედეთი	3	1	1	23-13	7
აშშ	1	3	1	21-17	5
იტალია	1	0	4	15-31	2
საფრანგეთი	0	1	4	11-27	1

მეოთხედფინალი. ფინეთი — აშშ 6:1, შვედეთი — გერმანია 3:0, კანადა — ჩეხეთი 3:2 (დ.დ.), რუსეთი — სლოვაკეთი 3:2 (დ.დ.)

I-IV ადგილები

ნახევარფინალი. შვედეთი — რუსეთი 4:3, კანადა — ფინეთი 5:3.

ფინალი. I-II. შვედეთი — კანადა 2:2 (ბულიტებით 3:2), III-IV. ფინეთი — რუსეთი 4:0

V-VIII ადგილები

ნახევარფინალი. ჩეხეთი — აშშ 5:3, სლოვაკეთი — გერმანია 6:5 (დ.დ.)

ფინალი. V-VI. ჩეხეთი — სლოვაკეთი 7:1. VII-VIII. გერმანია — აშშ 4:3

IX-XII ადგილები

ნახევარფინალი. იტალია — ნორვეგია 6:3, საფრანგეთი — ავსტრია 4:4 (ბ 4:1)

ფინალი. IX-X. იტალია — საფრანგეთი 3:2, XI-XII. ნორვეგია — ავსტრია 3:1

შვედეთი: ტომი სალო, პოკან ალგოტსონი, მიხაელ სუნდლევი; პეტერ ანდერსონი, როგერ იოპანსონი, თომას იონსონი, კენი იონსონი, ლეიფ როლინი, ფრედრიკ სტილმანი, მაგნუს სვენსონი; იონას ბერგკვისტი, ჩარლზ ბერგლუნდი, ანდრეას დაკელი, ნიკლას ერიქსონი, პეტერ ფორსბერგი, როგერ პასსონი, პატრიკ იულინი, იორგენ ძონსონი, პატრიკ კალბერგი, პოკან ლოოობი, მათს ნესლუნდი, დანიელ რიდმარკი, სტეფან ორნსკოგი.

19 თებერვალი

ციგურაობა. ქალები. 500 მ.

1 ბონი ბლეირი	აშშ	— 39,25
2 სიუზან ოში	კანადა	— 39,61
3 ფრანციისკა შენკი	გერმანია	— 39,70
4 სიუ რუიმონი	ჩინეთი	— 39,71
5 იუ სუნ პი	კორეა	— 39,92
6 მონიკ გარბრეხტი	გერმანია	— 39,95

სათხილამურო რბოლა. ვაჟები. 15 კმ. თავისუფალი სტილით (17 თებერვლის 10-კილომეტრიანი რბოლის შედეგთა გათვალისწინებით)

1 ბიორნ დელი	ნორვეგია	— 1:00.08,8
2 ვლადიმერ სმირნოვი	ყაზახეთი	— 1:00.38,0
3 სილვიო ფაუნერი	იტალია	— 1:01.48,6
4 მიკა მილილაე	ფინეთი	— 1:01.55,9
5 მიხაილ ბოტვინოვი	რუსეთი	— 1:01.57,8
6 იარი რიასანენი	ფინეთი	— 1:02.03,7

ჩრდილოური ორჭიდი. პირადი პირველობა

1 ფრედ-ბერიე ლუნდბერგი	ნორვეგია	0.00,0
2 ტაკანორი კონო	იაპონია	+1.17,5
3 ბიარტ-ენგენ ვიკი	ნორვეგია	+1.18,3
4 კენძი ოგივარა	იაპონია	+2.08,8
5 აგო მაარკვარდი	ესტონეთი	+2.41,9
6 იპოლიტ კემფი	შვეიცარია	+3.45,3

21 თებერვალი

ციგურაობა. ქალები. 1500 მ.

1 ემეში პუნიადი	ავსტრია	— 2.02,19
2 სვეტლანა ფედოტკინა	რუსეთი	— 2.02,69
3 გუნდა ნიმანი	გერმანია	— 2.03,41
4 ბონი ბლეირი	აშშ	— 2.03,44
5 ანამარია თომასი	პოლანდია	— 2.03,70
6 სვეტლანა ბაჟანოვა	რუსეთი	— 2.03,99

სამთო მოხილამურეები. ქალები. კომბინაცია

1 პერნილა ვიბერგი	შვედეთი	— 3.05,16
2 ფრენი შნაიდერი	შვეიცარია	— 3.05,29
3 ალენკა დოვჟანი	სლოვენია	— 3.06,64
4 მორენა გალიციო	იტალია	— 3.06,71
5 მარტინა ერტლი	გერმანია	— 3.08,78
6 კატია კორენი	სლოვენია	— 3.09,59

სათხილამურო რბოლა. ქალები. ესტაფეტა 4X5 კმ.

1 რუსეთი	ელენა ვიალბე, ლარისა ლაზუტინა, ნინა გავრილიუკი, ლიუბოვ ეგოროვა — 57,12,5
2 ნორვეგია	ტრუდე დიუბენდალი, ინგერ-ელენ ნიუბროტენი, ელინ ნილსენი, ანიტა მუნი — 57.42,6
3 იტალია	ბიჩე ვანცეტა, მანუელა დი ჩენტა, გაბრიელა პარუცი, სტეფანია ბელმონდო — 58.42,6

4. ფინეთი — 59.15,9; 5. შვეიცარია — 1:00.05,1; 6. შვედეთი — 1:00.05,8

22 თებერვალი

სათხილამურო რბოლა. ვაჟები. ესტაფეტა 4X10 კმ.

1 იტალია	მაურილიო დე ძოლტი, მარკო ალმარელო, ჯორჯო ვანცეტა, სილვიო ფაუნერი	— 1:41.15,0
2 ნორვეგია	სტურე სიგერსენი, ვეგარდ ულვანგი, თომას ოლსგარდი, ბიორნ დელი	— 1:41.15,4
3 ფინეთი	მიკა მილილაე, პარი კირვესნიემი, იარი რიასანენი, ჰარი ისამეტსა	— 1:42.15,6

4. გერმანია — 1:44.26,7; 5. რუსეთი — 1:44.29,2; 6. შვედეთი — 1:45.22,7

ტრამპლინიდან ხტომა. დიდი ტრამპლინი. გუნდური პირველობა

1 გერმანია	პანს-იორგ იაკლე, კრისტოფ დიუფნერი, დიტერ ტომა, იენს ვაისფლოგი	— 970,1
2 იაპონია	ინია ნიშიკატა, ტაკანობუ ოკაბე, ნორიაკი კასაი, მასაპიკო პარადა	— 956,9
3 ავსტრია	პაინც კუტინი, კრისტიან მოზერი, შტეფან პორნგახერი, ანდრეას გოლდბერგერი	— 918,9

4. ნორვეგია — 898,8; 5. ფინეთი — 889,5; 6. საფრანგეთი — 822,1

შორტტრეკი. ქალები. ესტაფეტა. 3000 მ.

1 კორეა	— 4.26,64 (A)	4 იტალია	— 4.34,46 (B)
2 კანადა	— 4.32,04 (A)	5 რუსეთი	— 4.34,60 (B)
3 აშშ	— 4.39,34 (A)	6 პოლანდია	— 4.45,40 (B)

23 თებერვალი

ბიატლონი. ქალები. 7.5 მ.

1 მირიამ ბედარი	კანადა	— 26.08,8 (2)
2 სვეტლანა პარამიგინა	ბელარუსი	— 26.09,9 (2)
3 ჯალენტინა ცერბე	უკრაინა	— 26.10.0 (0)
4 ინა შეშიკლი	ყაზახეთი	— 26.13,9 (2)
5 პეტრა შაფი	გერმანია	— 26.33,6 (2)
6 ირინა კოკუევა	ბელარუსი	— 26,38,4 (2)

ციგურაობა. ქალები. 1000 მ.

1 ბონი ბლეირი	აშშ	— 1.18,74
2 ანკე ბაიერი	გერმანია	— 1.20,12
3 იე ციაობო	ჩინეთი	— 1.20,22
4 ფრანციისკა შენკი	გერმანია	— 1.20,25
5 მონიკ გარბრეხტი	გერმანია	— 1.20,32
6 შიპო კუსუნოსე	იაპონია	— 1.20,37

24 თებერვალი

შორტტრეკი. ქალები. 500 მ.

1 კეტი ტერნერი	აშშ	— 45,98 (A)
2 ჩან იანმეი	ჩინეთი	— 46,44 (A)
3 ემი პეტერსონი	აშშ	— 46,76 (A)
4 ვონ პი კიუნი	კორეა	— 47,60 (A)
5 კიმ სო პი	კორეა	— 49,01 (B)
6 ვან სიულანი	ჩინეთი	— 49,03 (B)

25 თებერვალი

ციგურაობა. ქალები. 5000 მ.

1 ანდრეა პეზშტაინი	გერმანია	— 7.14,37
2 გუნდა ნიმანი	გერმანია	— 7.14,88
3 პირომი იამამოტო	იაპონია	— 7.19,68
4 ელენა ბელჩი	იტალია	— 7.20,33
5 სვეტლანა ბაჟანოვა	რუსეთი	— 7.22,68
6 ლიუდმილა პროკაშოვა	ყაზახეთი	— 7.28,58

ტრამპლინიდან ხტომა. საშუალო ტრამპლინი

1 ესპენ ბრედესენი	ნორვეგია	— 282,5 (100,5; 104,0)
2 ლასე ოტესენი	ნორვეგია	— 268,0 (102,5; 98,0)
3 დიტერ ტომა	გერმანია	— 260,5 (98,5; 102,5)
4 იენს ვაისფლოგი	გერმანია	— 260,0 (98,0; 96,5)
5 ნორიაკი კასაი	იაპონია	— 259,0 (98,0; 93,0)
6 იანი-მარკუს სოინინენი	ფინეთი	— 258,5 (95,0; 100,5)
50 კახა ნაქაძე	საქართველო	— 156,5 (75,5; 71,0)

26 თებერვალი

შორტტრეკი. ვაჟები. ესტაფეტა. 5000 მ.

1 იტალია	— 7.11,74 (A)	4 კანადა	— 7.20.40 (A)
2 აშშ	— 7.13,37 (A)	5 იაპონია	— 7.19,11 (B)
3 ავსტრალია	— 7,13,68 (A)	6 ნორვეგია	— 7.24,29 (B)

შორტტრეკი. ქალები. 1000 მ.

1 ჩუნ ლი კიუნი	კორეა	— 1.36,87 (A)
2 ნატალი ლამბერი	კანადა	— 1.36,97 (A)
3 კიმ სო პი	კორეა	— 1.37,09 (A)
4 ჩან იანმეი	ჩინეთი	— 1.37,80 (A)
5 იან იანი	ჩინეთი	— 1.47,10 (A)
6 იზაბელ შარე	კანადა	— 1.37,17 (B)

შორტტრეკი. ვაჟები. 500 მ.

1 ჩა ხი პუნი	კორეა	— 43,45 (A)
2 მირკო ვუილერმინი	იტალია	— 43,47 (A)
3 ნიკოლას გუჩი	ბრიტანეთი	— 43,68 (A)
4 მარკ განინონი	კანადა	— 52,74 (A)
5 ფრედერიკ ბლექბერნი	კანადა	— 44,97 (B)
6 ლი ხუნ პო	კორეა	— 45,13 (B)

27 თებერვალი

ბობსლეი. ოთხადგილიანი

1 გერმანია	პარალდ ცუდაი, კარსტენ ბრანაში, ოლაფ პამელი, ალექსანდერ ზელიგი	— 3.27,78
2 შვეიცარია	გუსტავ ვედერი, დონატ აკლინი, კურტ მაიერი, დომენიკო სემერარო	— 3.27,84
3 გერმანია	ვოლფგანგ პოპე, ულფ პაილშერი, რენე პანემანი, კარსტენ ემბახი	— 3.28,01

4. ავსტრია — 3.28,40; 5. ბრიტანეთი — 3.28,87; 6. ავსტრია — 3.28,91

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

«იუტამ» ლიდერები დაიფრინა



„იუტა ჯაზის“ ლიდერი კარლ მელოუნი

ორშაბათი, 28 თებერვალი

ჩიკაგო ბულზი — კლივლენდ კავალიერზი 81:89. „ჩიკაგომ“, რომელსაც შინ ფატალური უიღბლობა დასჩემდა, მატჩი ცვლილებით დაიწყო: ხუთეულში მსროლელად პიტ მაიერსის ნაცვლად სკოტი პიპენი (18 ქულა) გადმოიყვანა, ხოლო პიპენის ადგილი ფრთაზე ტონი კუკოჩმა დაიკავა. მეორე ტაიმის შუაწელში „კლივლენდმა“ ერთი მონაკვეთი 20:4 მოიგო და 63:45 დაწინაურდა. მარკ პრაისმა ამ ხანში 8 ქულა ჩაგდო (ხულ მატჩში — 19). „ბულზში“ ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა ბი. ჯეი. არმსტრონგმა — 20.

იუტა ჯაზი — პიუსტონ როკეტსი 89:85. „იუტამ“ ამ ბოლო დროს ლიდერები დაიბრიყვა: ხუთ დღეში მოუგო „სან-ანტონიოს“, „ფინიქსს“ და ორჯერ — „პიუსტონს“. მატჩის ბედი გადაწყვიტა კარლ მელოუნმა (18 ქულა), როცა დამთავრებამდე 35,9 წამით ადრე ორ მეტოქეს შორის გაძერა და ჩაგდო. წლეულს „ჯაზმა“ ხუთიდან სამ მატჩში დამარცხა „როკეტსი“ და ზედიზედ მეექვსედ მიიგო.

სამშაბათი, 1 მარტი.

ინდიანა პეისერზი — პორტლენდ თრეილ ბლეზერსი 106:94. მესამე მეოთხედში მსაჯმა სტივ ჯენმ პრესის ლოჟიდან გაგდო „ბლეიზერსის“ რადიოკომენტატორი, მაიკ რაისი და მისი გუნდი ორი ტექნიკურით დააჯარიმა. სწორედ ამ დროს დაწინაურდა „ინდიანა“, რომელსაც რიკ სმიტსმა 24 ქულა და 13 მოხსნა შესძინა.

ატლანტა ჰოქსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 102:99. ბოლო მეოთხედში „ჰოქსი“ 94:69 იგებდა, მაგრამ მინესოტელი ჩაკ პერსონის სამქულიანმა დამთავრებამდე 28 წამით ადრე ანგარიში ერთ ქულამდე შეამცირა — 99:100. ოცი წამის შემდეგ ატლანტელმა დანი მანინგმა (21 ქულა) ფარქვეშიდან ჩაგდო და უზრუნველყო მასპინძელთა გამარჯვება.

ნიუ-ჯერსი ნეთსი — დეტროიტ პისტონზი 108:98. „ნეთსელმა“ დერიკ კოულშენმა დაუმტკიცა კლუბის მეპატრონეებს, რომ წინა კვირაში ზღაპრულთანხლიანი კონტრაქტი ტყუილად არ გაუფორმეს: მატჩში ყველაზე მეტ — 25 ქულას 15 მოხსნაც დაუმატა. ამვე მატჩში მისმა თანაგუნდელმა კრის მორისმა (23 ქულა) 6 სამქულიანი ჩაგდო და კლუბის რეკორდი გაუმჯობესა. „დეტროიტის“ ლეგენდარული წყვილი — აიზია თომასი (16 ქულა, 14 პასი) და ჯო დუმარსი (19 ქულა) მარტო იბრძოდა.

ფილადელფია-76 — ვაშინგტონ ბულეტსი 103:109. „ვაშინგტონმა“ ზედიზედ ექვსი მარცხის შემდეგ გაიმარჯვა და პერვის ელისონმა (25 ქულა, 12 მოხსნა) ყველაზე მეტი ქულა მოუტანა მას. „76“-მა კი 1973 წლის შემდეგ პირველად წაგო ზედიზედ მეათედ. აქ საუკეთესო იყო კლარენს ვეზერბაუნი — 26 ქულა, 14 მოხსნა.

პიუსტონ როკეტსი — ორლანდო მეჯიკი 97:85. პიუსტონელმა აკიმ ოლაჯუონმა (26 ქულა) გააცამტვერა სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ორლანდოელი შაკილ ო ნილი (19 ქულა): 19 სროლიდან 8 ჩაგდებინა. ფარქვეშ შაკილი ოთის თორფმა დაჩაგრა: 19 მოხსნა გაუკეთა. კარგად ითამაშა პიუსტონელმა სემ კასელმა, რომელმაც 13 წუთში 16 ქულა მოაგროვა. „მეჯიკში“ საუკეთესონი იყვნენ ანფერნი პარდეეი და დენის სკოტი — 21-21 ქულა.

მილუოკი ბაქსი — მაიამი პითი 102:110. „პითმა“ ზედიზედ მეოთხედ მოიგო გასვლაზე, ხოლო გლენ რაისმა (25 ქულა) პირველ მეოთხედში 16 ქულა მოუტანა მას.

საკრამენტო კინგზი — ნიუ-იორკ ნიქსი 88:100. მეოთხე მეოთხედში „ნიქსმა“ ორწუთიანი მონაკვეთი 13:3 მოიგო და დამთავრებამდე 5,24 წუთით ადრე 86:74 იგებდა. პატრიკ იუინგმა (28 ქულა, 21 მოხსნა) და გრეგ ენტონმ (18 ქულა) შეაწყვეტინეს „ნიუ-იორკს“ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია.

გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 114:109. „ვორიორზის“ ამომავალმა ვარსკვლავმა, ახალბედა კრის ვებერმა თავისი 21-ე დაბადების დღე 26 ქულით და 18 მოხსნით აღნიშნა, თუმცა მის გუნდს ყველაზე მეტი ლატრელ სპრიუელმა (27 ქულა) შესძინა.

ოთხშაბათი, 2 მარტი

ბოსტონ სელტიქსი — კლივლენდ კავალიერზი 96:110. „ბოსტონმა“ თებერვალში ყველა მატჩი წაგო და არც მარტის დასაწყისში უღალატა ტრადიციას. მე-13 წაგებულ მატჩში შერმან დუგლასმა 25 ქულა მოუტანა მას, ხოლო ჯიმი ოლივერმა — 17. „კლივლენდში“, რომელმაც ზედიზედ მერვედ მოიგო, საუკეთესონი იყვნენ მარკ პრაისი (32 ქულა, 10 პასი) და ტაირონ ჰილი (22).

დეტროიტ პისტონზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 107:131. სტუმრებმა მეორე ტაიმი 73:43 მოიგეს. პორტლენდელმა კლაიდ დრექსლერმა ამ დროს 20 ქულა ჩაგდო, სულ მატჩში — 28.

მინესოტა ტიმბერვულვზი — მაიამი პითი 100:108. დამატებით დროში „პითმა“ 11 ქულა ჩაგდო, აქედან 8 — სტივ სმიტმა (22). თუმცა გუნდში ყველაზე შედეგიანი გლენ რაისი (33 ქულა) იყო. „მაიამიმ“ ზედიზედ მეექვსედ მოიგო და კლუბის რეკორდი გაიმეორა.

სან-ანტონიო სფერზი — იუტა ჯაზი 96:106. „ჯაზი“ აგრძელებს ასოციაციის ლიდერების დამარცხებას. ამ მატჩი მან შეაჩერა „სფერზის“ 14-მატჩიანი წაუგებელი სერია სან-ანტონიოს „ალამოდიუმში“. გამარჯვებულთაგან კარლ მელოუნმა 24 ქულა გაკეთა, ჯეფ ჰორნაჩეკმა — 23.

ჩიკაგო ბულზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 89:97. „ბულზმა“ კვლავ ვერ გაიხარა შინ, მთავარი დამნაშავეები ამაში კი „ლეიკერზელები“ ვლადე დივაცი (27 ქულა) და ნიკ ვან ექსელი (22 ქულა) არიან.

ლოს-ანჯელეს კლიპერზი — შარლოტ ჰორნეთსი 118:109. „ჰორნეთსს“ კვლავ არ ჰყავდა ლარი ჯონსონი და ალონზო მურნინგი, სამაგიეროდ „კლიპერზს“ მეტად მოუხდა დომინიკ ვილკინსის (33 ქულა) მოსვლა. ბოლო მეოთხედის ერთი მონაკვეთი „კლიპერზმა“ 12:0 მოიგო და ვილკინსმა მაშინ ოთხი ბურთი ზედიზედ ჩაგდო.

ხუთშაბათი, 3 მარტი

კლივლენდ კავალიერზი — ფილადელფია-76 95:87. ჯონ ვილიამსმა (20 ქულა, 12 მოხსნა), ტაირონ ჰილმა (18 ქულა, 11 მოხსნა) და ჯერალდ ვილკინსმა (15 ქულა) ზედიზედ მეცხრედ მოაგებინეს „მხედრებს“. კარგად ითამაშა მარკ პრაისმაც, როცა ბოლო წუთზე დაცვაში ორჯერ ჩაუშალა მეტოქეს შეტევა. „76“-მა უკანასკნელი 12 მატჩი წაგო „კავალიერზთან“.

ნიუ-იორკ ნიქსი — ნიუ-ჯერსი ნეთსი 97:86. მესამე პერიოდის დამთავრებისთანავე „ნეთსელმა“ კრის მორისმა შუა მოედნიდან სამქულიანი ჩაგდო და პირველად და უკანასკნელად დაწინაურა თავისი გუნდი — 72:71. მაგრამ „ნიუ-იორკმა“ მეოთხე მეოთხედის საწყისი მონაკვეთი 14:0, ხოლო პერიოდი 26:14 მოიგო. მის რიგებში ყველაზე მეტი ქულები გააკეთეს პატრიკ იუინგმა (28 ქულა, 16 მოხსნა), გრეგ ენტონმ (18 ქულა) და ჯონ სტარქსმა (17 ქულა). „ნიქსმა“ წლეულს მეოთხე თამაშიდან პირველად მოუგო მეტოქეს.

ვაშინგტონ ბულეტსი — ატლანტა ჰოქსი 98:109. ატლანტელმა დანი მანინგმა (22 ქულა, 13 მოხსნა) ქულების ნახევარი მეოთხე მეოთხედში მოაგროვა. დუეინ ფერელი მანინგის მოსვლამდე დომინიკ ვილკინსს ცვლიდა, ამ მატჩში კი გრიპშეკრილი კევინ ვილისი შეცვალა და 21 ქულაც გააკეთა. სტეისი ოგმონმა 20 ქულა მოუტანა „ჰოქსს“.

დალას მავერიქსი — ორლანდო მეჯიკი 94:107. შაკილ ო ნილმა პირადად მოუგო „დალასს“ — 43 ქულა და 16 მოხსნა. ეს შაკილის მეხუთე მატჩი იყო, როცა მან 40-ზე მეტი ქულა გააკეთა. მასპინძლებმა ჯიმ ჯექსონმა და ჯამალ მაშბურნმა, შესაბამისად 21 და 20 ქულა ჩაგდეს.

გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ფინიქს სანზი 120:107. ფინიქსელი ჩარლზ ბარკლი (26 ქულა, 11 მოხსნა) ყველაზე შედეგიანი იყო მატჩში, თუმცა „ვორიორზელები“ ამ დღეს არაჩვეულებრივად ზუსტად ისროდნენ: კრის მულინმა (25 ქულა) 13 სროლიდან 11 ჩაგდო, ხოლო აივერი ჯონსონმა (23 ქულა) უკანასკნელი შვიდი ნასროლიდან ყველა კალათში ჩაუშვა.

მერაბ რატიშვილი

მდგომარეობა:	მ	ნ	%
ატლანტიკის ჯგუფი			
ნიუ-იორკი	38	19	666
ორლანდო	34	21	618
მაიამი	30	25	545
ნიუ-ჯერსი	29	27	518
ბოსტონი	20	36	357
ფილადელფია	20	37	350
ვაშინგტონი	17	40	298
ცენტრალური ჯგუფი			
ატლანტა	40	16	714
ჩიკაგო	37	19	660
კლივლენდი	34	24	586
ინდიანა	29	25	537
შარლოტი	23	31	426
მილუოკი	16	40	286
დეტროიტი	13	434	232
შუა-დასავლეთის ჯგუფი			
პიუსტონი	39	15	722
სან-ანტონიო	40	17	702
იუტა	39	19	672
დენვერი	28	27	509
მინესოტა	16	39	290
დალასი	8	49	140
წყნარი ოკეანის ჯგუფი			
სიეტლი	39	14	736
ფინიქსი	36	18	666
პორტლენდი	35	22	614
გოლდენ სტეიტი	33	23	589
ლ. ა. ლეიკერზი	21	33	388
საკრამენტო	19	36	345
ლ. ა. კლიპერზი	19	36	345

ჭორვილი და დინი ისევ გაპროფესიონალდნენ

სეულის ოლიმპიადის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კრიზის შემოსწყრა, მსაჯობაში ცხადი კრიტერიუმი არა აქვს და ამიტომ ოლიმპიური თამაშებიდან ამოსაღებია. ახლა იგივე ბედი ეწია ყინულზე ცეკვებს. სოკ-ის პრეზიდენტ სამარანჩს თურმე არ მოსწონებია ჯეინ ტორვილ — ქრისტოფერ დინის ლილეჰამერული მარცხი (ინგლისელები მესამე ადგილზე გავიდნენ) და ამაში უჭკუო წესები დაუდანაშაულებია. რაც შეეხებათ ბრიტანელ მოცეკვავეებს, მათ განუცხადეთ, რომ ისევ პროფესიულ სარბიელს უბრუნდებიან, რის გამოც წლევანდელ მსოფლიო პირველობაში აღარ იასპარეზებენ.

ჩირაღდნიანი ფრედერიქსი

28 თებერვალს დიდი ზეიმობა იყო სანაპირო ქალაქ ვოლფიშ-ბეიში, რომელიც 1910 წლის შემდეგ სამხრეთმა აფრიკამ ბოლოსდაბოლოს დაუბრუნა ნამიბიას. ნამიბიის სულიერ მამას სემ ნუიომას ეწვივნენ ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე და განის სამხედრო რეჟიმის მეთაური ჯერი როლინგზი. სამაგიეროდ, მასპინძლებმა მოისაკლისეს ფრედერიკ ვილემ დე კლერკი და ნელსონ მანდელა, რომლებიც 27 აპრილის არჩევნებისთვის სამზადისს გამო მოუცლელნი ყოფილან. სტადიონზე უკანასკნელად შესრულდა სამხრეთი აფრიკის ჰიმნი, შემდეგ კი ნამიბიის ცოცხალმა სიმბოლომ, 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონმა ფრენკი ფრედერიქსმა თავისუფლების ჩირაღდანი შემოარბენინა.

აქეთური, იქითური

20 თებერვალს დაიწყო „ვიმბლდონის“ გარსაქვეყნო რბოლის მეოთხე ეტაპი. მონაწილეებმა დაუტეხეს ახალი ზელანდიის უდიდესი ქალაქი ოკლენდი და ჩატემის კუნძულებისკენ აიღეს გეზი, იქედან კი წყნარი ოკეანის გადასვრვის შემდეგ მიაღწევენ სამხრეთი ამერიკის ჰორნის კონცხს, იქედან კი ურუგვაის კურორტ პუნტა-დელ-ესტეს. სტარტიდანვე ავდარი დაიჭირა და წინაც ხან ერთი იახტა გაიჭრა, ხანაც — მეორე. ჯერ ევროპის კავშირის „ინტრუმ ჯუსტიცია“ 7 მილით უსწრებდა ახალზელანდიურ „ტოკიოს“, ერთი დღის შემდეგ სხვაობა 2 მილამდე შემცირდა, იაპონურ „იამაჰას“ კი ზვიგენები დაესხნენ თავს და შეაფერხეს. მერე „ტოკიოს“ გაუსწრო ამერიკულმა „ვინსთონმა“, კიდევ ერთი დღე-ღამის შემდეგ კი შვეიცარიის „მერიტ კაპი“ და ახალი ზელანდიის „ენდეავორი“ დაწინაურდნენ. წინა შაბათს წინ ისევ „ინტრუმ ჯუსტიცია“ გაიჭრა: იგი ერთი პირობა 48 მილით უსწრებდა უახლოეს მდევარ „გალისია 93 პესკანოვას“, მაგრამ რო დღე-ღამეში ესპანელმა მდევრებმა სხვაობა 26 მილამდე შეამცირეს. რაც შეეხება მაქსი კლასს, მასში მოასპარეზე სამად-სამ ნავს შორის წინ ისევ „ნიუ ზილენდ ენდეავორია“.

*

მას შემდეგ, რაც „ჩიკაგო ბულზის“ კალათბურთელმა ვარსკვლავმა მაიკლ ჯორდანმა კეტბურთს მიჰყო ხელი, მავანსა და მავანს ავანტიურული წინადადებების შეთავაზების საღერღელი აუშალა. წინა კვირაში კრივის ცნობილმა იმპრესარიომ დან დუვერმა ჯორდანს მძიმეწონოსან მსოფლიო ჩემპიონთან, ამერიკელ მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდთან შერკინება შესთავაზა 15 მილიონ ამერიკულ დოლარად, მაგრამ ახლადგამომცხვარმა კეტბურთელმა წინადადება შორს დაიჭირა და განაცხადა, ჰოლიფილდს ვერასგზით დავეჭიდები, გინდ თიფფით ვიყო შეიარაღებულიო!

*

როგორ გგონიათ, რა ჰქონიათ საერთო მელბურნის კრიკეტის სტადიონს, მარიფილდის სარაგბო მოედანსა და ჰონკონგის სამეფო კლუბის იპოდრომს? — რა და უთანამედროვესი საფარი, რომელსაც ბრიტანული ფირმა „თომ ოლივერ და კომპანი“ აგებს. ბრიტანელთა მომსახურებით მთელს მსოფლიოში დანტერესებულან, რაკიღა ფირმას ბალახში ქვიშის შეზავებით ნიადაგი უფრო გამძლეა და ნაკლებად ხისგილ მოიღოა. ასე მაგალითად, მელბურნში, კრიკეტის სეზონის გახსნამდე ავსტრალიური ბურთაობის 90 თამაში და სამი კონცერტი გამართულა, მაგრამ ამას მოედნისათვის ვერა დაუკლია რა. ახლა ახლებური საფარი დაუგიათ ჰონკონგის ახალ საზოგადო სტადიონზეც, რაც იმის საწინდარი ყოფილა, რომ ჰონკონგის სარაგბო შვიდკაცას მონაწილეებს ველარ შეაშინებთ კოკისპირული წვიმები, მოედანი ხშირად რომ უქცევია ტალახის აბაზანებად.

*

წინა კვირაში ესპანეთში, ხერეს-ში გაიმართა ანდალუზიის ღია პირველობა გოლფში, რომელშიც ორი ცოცხალი ლეგენდა — ამერიკელი ჯეკ ნიკლაუსი და ესპანელი სევერიანო ბალესტეროსი მონაწილეობდა. ნიკლაუსმა თავი ბევრი ვერაფრით გამოჩინა და ორი წრის შედეგად ტურნირს გამოეთიშა, ევროპულ კლასიფიკაციაში 42-ე ადგილამდე ჩამოქვეითებულმა სევიმ კი ტურნირის ოთხი წრე ნორმაზე ერთი დარტყმით უკეთესი ჯამით დაასრულა. გაიმარჯვა ბრიტანელმა კარლ მეისონმა — 10-ით უკეთესი. მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ხოსემარია ოლოსაბალს 8 ჰქონდა, ამერიკელ გორდონ ბრენდ უმცროსს კი — 7. არადა, ორი წრის შემდეგ შესაბამისად 9-ითა და 8-ით ავსტრალიელი პიტერ ფალოუ და ბრიტანელი ჯიმ პეინი ლიდერობდნენ.

*

კარდიფში სენსაციები დატრიალდა მესქვოშეთა წლის პირველი დიდ შეჯიბრებაზე — „ველშ კლასსიკზე“. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, პაკისტანელმა ჯანშერ ხანმა პირველსავე წრეში ოთხ ხელში წაგო შოტლანდიელ პიტერ ნიკოლთან, მეორე ნომერმა, ავსტრალიელმა როდნი მარტინმა კი — ხუთ ხელში, ინგლისელ კრის ვოკერთან. ასე იყო თუ ისე, ფინალამდე დიდ მოთამაშეთა ვერცერთმა მძლეველმა მიაღწია.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით

ინდექსი 66441

რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ზოშარულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)